



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება N2

6 იანვარი 2016 წ.

ქ. თბილისი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს აკადემიის ემბლემის დამტკიცების შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შემდგომში – აკადემია) ემბლემა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 ივლისის №846 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ლოგოს დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს
შინაგან საქმეთა
მინისტრი

გიორგი
მღებრიშვილი



აკადემიის ემბლემა წარმოადგენს ჰერალდიკურ მრგვალ ფარს.

ფარის ლაჟვარდისფერ (ლურჯი) ველზე, ცენტრში გამოსახულია ჰერალდიკური ფარი, მეწამულ (წითელი) ველზე ოქროს ლომის გამოსახულებით, რომელსაც უპყრია ჰერალდიკური ფარი, რომლის ლაჟვარდისფერ (ლურჯი) ველზეც გამოსახულია ქვევიდან ზევით მიმართული ოქროსფერი წიგნი (გელათის აკადემიის სიმბოლო).

მთავარი ფარის გარშემო არის ოქროსფერი წარწერა: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია“.

კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოსახულია ოთხქიმიანი ვარსკვლავებით შედგენილი ოქროს ხუთჯვრიანი სიმბოლო (უსაფრთხოების, კონტროლის სიმბოლო).